


საპარტიო მუშაკთა კავშირების კავშირები და პარტიის სახელმწიფო კომიტეტის და პარტიის სახელმწიფო საბჭოს ორგანო

19 აპრილი, ხუთშაბათი, 1990 წ. № 74 (10 242) შპსი 8 კპპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



მეზობელი ტური: კახიანი-ოსკელიანი 0:1, ნიკოლაძე-გაფრინდაშვილი 1:0, არახანია-ქასოშვილი 1:0, ალექსანდრია-ლანჩავა 1:0, მელაშვილი-ხუგაშვილი 0,5:0,5, კობაძე-ხუციანთა და ხაღაშვილი-გურიელი პარტიები გადამარჯვებულნი.

ტურის შესახებ გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მამარაშვილი. ტურნირი ისე როგორ ჩაივლის, რაიმე დიდი მოლოდინი არაა, რადგან ახლა, მაგალითად, სენსაციურის გარდა სხვა რა უნდა ვუწოდოთ ნიკოლაძე-გაფრინდაშვილის პარტიის შედეგს.



იუბილარი ინგა ხუციანთა. მას 15 წელი შეუსრულდა გუშინ.

მოხდა. ნიკოლაძე თავის მრისხანე მეტოქეს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. გაფრინდაშვილს შეეძლო კიდურა პაიკის წინსვლით მოსაგები პოზიცია მიეღო, მაგრამ იჩქარა. მან, მართალია, მატერიალური უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ შავი ფიგურები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

გაფრინდაშვილის მოულოდნელმა წაგებამ უფრო მეტად განამტკიცა პირველი ადგილისათვის ბრძოლაში მისი მთავარი მეტოქის არახანია-ქასოშვილი. ახალგაზრდა დიდოსტატი, როგორც წინა ტურებში, ზუსტად და თანმიმდევრულად თამაშობდა ქასოშვილთან. გორელ საერთაშორისო ოსტატს ფიგურის დათმობა მოუხდა, რის შემდეგ წინააღმდეგობის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახიანი-ოსკელიანის შეხვედრას. ოსკელიანი (შავებით) მართა პოლანდიური დაცვის ერთერთ ვარიანტს, რომლის მიზანია შავფურცელანი კუს ფრთაზე განვითარება, ჰარდაკის ენით ფიანტოს "რომ უწოდებენ".

ალექსანდრია კარგად წარმართა მთელი შეხვედრა და მოუგო ლანჩავას. მელაშვილი და ხუგაშვილი ხანმოკლე თამაშის შემდეგ ყაიპზე შეთანხმდნენ.

უსრულდა. შეჯიბრების ექვსეულში ნორჩმა მინაწილმა კარგი საჩუქარი (რა თქმა უნდა, მეტოქის დახმარებით) საკუთარ თავს თვითონვე მიუძღვნა. მან ენერგიულად წამართა პარტია შავებით კობაძე-ხუციანთას, მოიგო ფიგურა და ახლა გადადებულ პარტიაში, უდავოა, პირველ გამარჯვებას მოიპოვებს. მთელი 6 საათის მანძილზე მეტად შეუპოვარად იბრძოდნენ საღაშვილი-



სოფიკო ნიკოლაძე.

შვილი და გურიელი. მდგომარეობა შედარებით გამარტივდა, მაგრამ პოზიციას ამწვავებდა მეტოქეების განკარგულებაში დარჩენილი თითო სხვადასხვაფეროვანი კუასეთ კუს "ოპონენტი" არა ჰყავს, ამიტომ მასთან გამკლავება ძნელი ხდება. თუმცა, გადადებულ პარტიაში გურიელს ერთგვარი უპირატესობა მაინც ჰქვს.

ერთი სიტყვით, 7 ტურის შემდეგ ზოგი რამ ნათელია და... უამრავი ბუნდოვანი საკითხი რჩება. რაც არ უნდა იყოს, წინ არის ტურნირის მეორე გადამწყვეტი ნახევარი. მდგომარეობა 7 ტურის შემდეგ: არახანია — 6 ქულა (1 გადადებული), გაფრინდაშვილი — 5, კახიანი — 4 (1), ოსკელიანი — 3,5 (1 გადადებული და 1 გამოტოვებული პარტია), ალექსანდრია — 3,5 (1), ხუგაშვილი — 3,5, გურიელი — 3 (1 გადადებული და 1 გამოტოვებული პარტია), ლანჩავა — 3, მელაშვილი, ქასოშვილი — 2,5-2,5 (1-1), ნიკოლაძე — 2, საღაშვილი — 1,5 (2), კობაძე — 1 (2), ხუციანთა — 1 (1).

გაისად — პარლსრუმი

დაპყვანაწმებით, საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ურთიერთობაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას გამორჩეული ადგილი უკავია — კონტაქტები ამ ქვეყანასთან საქართველოსთვის და სტაბილურია. სხვა სფეროების კვალად ფართოვდება სპორტული კონტაქტებიც.

სტურუა) — ლოთარ არნოლდი 1:0 (0,5:0,5), იგორ ეფიმოვი — ხრისტოვ ფრომერი 1,5:0,5, ვია ბლანტურივი — მარტინ პრეისი 1,5:0,5, თამაზ ტაბატაძე — კურტ ბუში 1,5:0,5, დავით ჯანოვი (იანის პოპოვი) — მარტინ შრეპი 1:0 (1:0), რევზ კაკაბაძე — ბერნარდ სვირა 1,5:0,5, გივი გოგიანიშვილი — ხრისტან ბროსერი 1,5:0,5, კახა შალამბერიძე — ნორბერტ ბლუმი 1,5:0,5, ზაზა ხოფერიძე — პეტერ ბლანტურივი 0,5:1,5, ნინო ხუციანთა — ბეატე ბორი 1:1.



თითოეულ გუნდში 9 ვაჭი და 1 ქალია, თბილისის ჰარდაკის სისახლეში სტუმარ-მასპინძლები უკვე ორჯერ შეხვედრენ ერთმანეთს.

ვიზიტის სპორტული პროგრამა ამით არ ამოწურულა — 14-15 აპრილს სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს სწრაფ ჰარდაკაში გამართულ საქართველოს პირველობაში, დღეს კი გერმანიელი და ქართველი მოჭადრაკეები ბლიტტურნირს გამართავენ. გუშინ სტუმრებმა დაათვალიერეს მცხეთა, შეხვედრენ საქართველოს სპორტსაკომის თავმჯდომარის მოადგილეს ჯანო ბაგრატიონს. ეს ვიზიტი მომავალი ურთიერთობის საფინდარია — გაისად მაისში კარლსრუმი გაემგზავრებიან ჩვენი მოჭადრაკეები.

მსხვერპლს უნდა მოერიდონ

„უიბტრედი“ უმსხვერპლოდ! ასეთი იყო ფორტ-ლოდერდეში (აშშ) გამართული თათბირის თემა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს გარშემო იალქიანი ნაგებით რბოლის ორგანიზატორები და სპონსორები.

სურათზე: კარლსრუელი მოჭადრაკეები ჰარდაკის სახალხეში.

როგორც ცნობილია, 16 ოქტომბერს ტალღამ ატლანტის ოკეანის ცივ წყლებში ჩაათრია ინგლისური ნავის „კრეიტონ ნაჩურალის“ ეკიპაჟის წევრი ენტონი ფილიპსი. 37 წლის შემდეგ იგი იპოვეს და ამოიყვანეს ნავზე; მაგრამ უკვე გაყინული იყო. ამ უბედურმა შემთხვევამ ორგანიზატორები შეაშფოთა და დააფიქრა. „უიბტრედი“ ფირმის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 1993-1994 წლების რეგატის ორგანიზაცია ფირმას 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჭრება და იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რბოლას უაზრო მსხვერპლი არ მოჰყვება. ამისათვის კი საჭიროა ნაგების მოწინავე ტექნოლოგიით აღჭურვა.

ვალბა (მალბა).

დაიწყო იუნიორ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი. ასპარეზობა გახსნეს 56 კგ წონის სპორტსმენებმა. ჩემპიონატის პირველი ოქროს მედალი ვ. სინიკმა (საბჭოთა კავშირი) მოიპოვა. ორპილის ჯამში მან 262,5 კგ აიყენა.

ლოდონი. გრძელდება მსოფლიო თასის გათამაშება სავხატკეცილო წრიულ მოტობოლაში. ამ შეჯიბრების მეორე ეტაპი ლონდონის მასობრივ დომინატორ-პარკში გაიმართა. პირველი რბოლა მოიგო 27 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ამერიკელმა ფრედ მერკელმა (მოტოციკლი „ჰონდა“). მეორე რბოლაში ამერიკელს მესამე


შედეგები - ქიმიკალი

ადგილი ერგო, გამარჯვება კი იტალიელმა ჯანლუკო ფალაპამ („ჰონდა“) მოიპოვა. საერთო ჩათვლაში ჯერჯერობით წინაა ფრანგი რაიმონდ როში — 74 ქულა. მერკელს მეორე შედეგი აქვს — 67 ქულა, ფალაპას კი მესამე — 57 ქულა.

ნიუ-იორკი. გოლფისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე („მასტერსი“) უბედური შემთხვევა ორჯერ მოხდა. მსოფლიოს 1988 წლის ჩემპიონმა, ინგლისელ-

მა სენდი ლაილამ ბურთი... ერთერთ მაყურებელს მოარტყა. დარტყმა არ იყო მძლავრი და დაშვებულმა უმნიშვნელო ტრავმა მიიღო. მეორე დღეს იმავე ლაილამ ბურთი სხვა მაყურებელს მოარტყა. ტრავმირებული მოხუცი ქალი საავადმყოფოში მიიყვანეს.

ნიუ-იორკი. ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის პირველ წრეში უფელმა ანდრეი ჩერტსოვმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკელი პეტრუ კორლე 0:6, 7:5, 7:5. მთავარი ფავორიტები — ჯეი ბერგერი (აშშ), მარტინ პაიტე (არგენტინა) და ანდრეი ჩენსოკოვი (სსრკ) ასპარეზობაში მოგვიანებით ჩაებმებიან.



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში ერთმანეთს შეხვედნენ თბილისის „ბერიხა“ და ცხინვალის „ლიხვის“ გუნდები; ა. კობრაშვილის ფოტო.





